


## მე-2 კლასი

### ძირითადი დავალებები (50 ქულა)

- ჩამოთვლილებიდან რომელია მეტი? (4 ქულა)  
A) 21-13                                      B) 15-7-5+7                                      C) 6-1+7
- აირჩიეთ რიცხვი, რომელიც შეიცავს 2 ათეულს და 3 ერთეულს: (4 ქულა)  
A) 32    B) 23    C) 13
- აირჩიეთ რიცხვი, რომელიც უნდა ჩავსვათ გამოტოვებულ ადგილას: (4 ქულა)

$$11 + \square + 3 = 17$$

- A) 4    B) 9    C) 3
- მეთევზემ 57 თევზი დაიჭირა: 17 კალმახი, 21 სკუმბრია და დანარჩენი ორაგული. რამდენი ორაგული დაუჭერია მეთევზეს? (5 ქულა)  
A) 19    B) 30    C) 24
- ავტობუსში თავდაპირველად 10 მგზავრი იყო. პირველ გაჩერებაზე ამოვიდა 7 მგზავრი და ჩავიდა 2. რამდენი მგზავრია ახლა ავტობუსში? (5 ქულა)  
A) 17    B) 15    C) 11
- რამდენი გვერდი აქვს ჯამში 1 სამკუთხედს და 1 ოთხკუთხედს? (5 ქულა)  
A) 14    B) 7    C) 10
- ატმის ხეს 3 ტოტი აქვს, თითო ტოტზე 4 ატამია. სულ რამდენი ატამია ხეზე? (5 ქულა)  
A) 12    B) 18    C) 9
- კიბეს 11 საფეხური აქვს. რომელ საფეხურზე უნდა დავდგეთ იმისთვის, რომ კიბის შუაში აღმოვჩნდეთ? (6 ქულა)  
A) მეექვსე                                      B) ცალი ფეხით მეხუთეზე, ცალით მეექვსეზე                                      C) მეხუთე
- პიცა დედამ 3 ტოლ ნაწილად დაჭრა, შემდეგ ერთ-ერთი ნაჭერი კიდევ 2 ნაწილად გაჭრა. სულ რამდენი ნაწილი მიიღო? (6 ქულა)  
A) 5    B) 4    C) 6
- დააკვირდით ნახატს და ჩასვით გამოტოვებული რიცხვი: (6 ქულა)



- A) 16    B) 13    C) 11

### ბონუს დავალებები (8 ქულა) - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

- ნიკას ბურთის ყიდვა სურს. მის სახლთან ახლოს ორი მაღაზიაა, სადაც ზუსტად ერთნაირი ბურთები იყიდება. პირველ მაღაზიაში ბურთი 5 ლარი ღირს, ხოლო მეორეში - 6 ლარი. რომელ მაღაზიაშია ბურთის შექენა უფრო გონივრული? (4 ქულა)  
A) პირველში                                      B) მეორეში                                      C) არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ მაღაზიაში იყიდის ნიკა ბურთს
- ერთ დღეს დათას მშობლებმა ბიჭუნას ჯიბის ფული - 4 ლარი მისცეს. ეზოს დალაგების შემდეგ დათამ დამატებით 8 ლარი გამოიმუშავა. სულ რამდენია დათას შემოსავალი დღეს? (4 ქულა)  
A) 8 ლარი                                      B) 12 ლარი                                      C) 15 ლარი